#21/11-17

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგ განცხადება სკოპინგ ანგარიშის დანართით

1995 წლიდან შ.პ.ს. „ავზი 94"-ს სახელწოდებით რეგისტრირებული მოქმედი და დღემდე 15-20.0 მილიონ ლიტრამდე საავტომობილო მსუბუქი საწვავის ბრუნვის წლიურ სიმძლავრეს მიღწეული მსუბუქი საწვავის საცავისათვის არ გვქონია გზშ-ს დოკუმენტთა პაკეტი მომზადებული და შესაბამისად არც გადაწყვეტილებაა რეგისტრირებული. საწარმოს მიმდებარედ ავტომაგისტრალის მხარეს 2010 წლიდან მოვამზადეთ და ექსპლუატაციაში შესულია აგს-ი, რომელიც გაქირავებულია და ა/წ-დან აქვს სამინისტროში რეგისტრირებული ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

ჩვენს მიერ გასული წლის დასასრულს თქვენთან განსახილველად განცხადებით წარდგენილი სკოპინგ ანგარიშის განხილვის შეჩერების თხოვნის შემდეგ ჩვენ გავითვალისწინეთ საწარმოს ყველა საკანონმდებლო და ნორმატიულ დოკუმენტებთან სრულყოფილ შესაბამისობაში მოყვანა და სრულად უზრუნველვყოთ საწარმოს ფუნქციონირება შეესაბამებოდეს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემო ფაქტორების დაცვას საწარმოდან მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის საერთაშორისო ნორმატიულ მოთხოვნებს.

საწარმოსათვის დაგეგმილი სრული ფუნქციონალური და ტექნიკური რეკონსტრუქციის პროექტი ფაქტობრვად მზადაა და მალე დარეგისტრირდება.

სრულად შესრულდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის განმეორებით წარდგენილი სკოპინგ ანგარიშის განხილვაზე წარმოქმნილი ყველა საქმიანი მითითებები.

ანგარიშში ინფორმაცია ერთობლივად არის შედგენილი ჩვენი სპეციალისტების მიერ კონსულტანტის მონაწილეობით, გადმოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად და წარმოადგენს გზშ-ს ანგარიშის პროექტის შემადგენელ ნაწილს.

დანართი:
1. სკოპინგის ანგარიშის ერთი 42 გვერდზე აკინძული ეგზემპლარი;
2. ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
3. საწარმოს ორთოფოტო-ერთი ეგზემპლარი და გეოინფორმაციული სისტემები GIS კოორდინატების მითითებით (დუბლიკატ shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,
შ.პ.ს. „ავზი 94"-ის
დირექტორი ---------- თ. წაქაძე

№ 20703
"17" 11 2021